საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-49

27/01/2022

ქ. თბილისი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, ელექტროპლატების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, კაბელების, ლითიუმის შემცველი აკუმულატორების) გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის N 2-1084 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბერს N 2-1084 ბრძანებით გაიცა ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, ელექტროპლატების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, კაბელების, ლითიუმის შემცველი აკუმულატორების) გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე'' სკოპინგის დასკვნა N 109 (12.11.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, ელექტროპლატების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, კაბელების, ლითიუმის შემცველი აკუმულატორების) გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის N 2-1084 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მედიკალ ტექნოლოგს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი